ი. 360

ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული.

№ 2.

მოზრდილებისთვის და ხალხისთვის.

ზრდა, სიმდიდრე და ფული

ადამ სმიტის სურათით.

ი. გორდელაძის-მიერ

ფასი 15 კაპ.

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!.„
ი. ჭავჭავაძე.

„ყოველი წუთი თავისუფალი დროსი
ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს!.“
კონფუცი.

ტფილისი
სტამბა ექვთიმე იგ. სელაძისა
1896

ეს ბრიელ ბაბის
ბიბლიოთეკა

ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული.

№ 2.

მოზრდილებისთვის და ხალხისთვის.

შრომა, სიმდიდრე და ფული.

ადამ სმიტის სურათით.

ი. გოგრდელაძის-მიერ.

34594

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!..“
ი. ჭავჭავაძე.

„ყოველი წუთი თავისუფალი დროსი
ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს!..“
კონფუცი.

ᲡᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲐᲮᲐᲚᲒ. Ი. ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

ტფილისი
სტამბა ეძვთიმეს. ხელაძისა.
1896

Дозволено цензурою, Тифлисъ 11 ноября 1895 года.

I.

შრომა და სიმდიდრე.

როცა თქვენ ათი მანეთი გაქვთ და თქვენ ამხანაგს—ხუთი, თქვენ ამბობთ, რომ მე ერთი ორად იმაზე მდიდარი ვარო; თუ კაცს ასი ათასი მანეთი აქვს, თქვენ ამბობთ, რომ ის მდიდარი კაცია და საჩოგადოთ, რამდენადაც მეტი ფული აქვს კაცს, იმდენად უფრო მდიდარი გგონიათ ის...

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს მდიდარი კაცი, თავისი ასი ათასი მანეთით ჯიბეებში, ზღვის ტალღებმა გამოაგდეს რომელიმე უდაბურს კუნძულზე. რას იტყვით მაშინ ამ კაცზე—მდიდარია ის, თუ არა? რით და როგორ დაიწყებს ეს კაცი თავის ახალ ცხოვრებას? ოქროს მადნის ძებნას დაიწყებს ის, რომ უფრო მეტი ფულები გააკეთოს, თუ იმის ზრუნვას შეუდგება—რა ესჭამო, როგორ ვიცხოვრო, რა ჩავიცვა, ან როგორ დავიცვა თავი ნადირებისაგან?

უწინდელებიც ასე ფიქრობდნენ, რომ სიმდიდრე ფულებშია, და ის ხალხია უფრო მდიდარიო, რომელსაც მეტი ფული აქვს; მაგრამ, წარსული საუკუნის ბოლოს, გამოჩნდა ინგლისში ერთი მსწავლული, რომელმაც დაამტკიცა, რომ სიმდიდრეს ფულები-კი არ შეადგენენ, არამედ ადამიანის შრომა. იმ მსწავლულის სახელი იყო ადამ სმიტი.

ადამ სმიტი.

II.

ადამ სმიტი.

ადამ სმიტის ყმაწვილობის შესახებ თითქმის არაფერი ვი-

ცით; ვიცით მხოლოდ, რომ ყმაწვილობაში ადამი სუსტი ბავშვი იყო, და სამი წლისა რომ შესრულდა, მაწანწალა ბოშებმა მოიტაცეს, მაგრამ მშობლებმა მალე მიაგნეს ქურდების კვალს და შვილი შინ წამოიყვანეს.

ადამ სმიტი დაიბადა შოტლანდიის[1]) ერთ პატარა ქალაქში, 5 ივნისს 1723 წელს. პირველი სწავლა ადამმა მიიღო თავისი სამშობლო ქალაქის სკოლაში და, როგორც ყველა ნიჭიერი ბავშვი, განირჩეოდა სხვებისაგან დიდი შრომის-მოყვარეობით, წიგნების კითხვის სიყვარულით და შესანიშნავი მეხსიერებით.

ადამს არ უყვარდა თამაშობა და გართობა ამხანაგებში, მაგრამ თვითონ ის-კი ყველას უყვარდა, რადგანაც იყო წყნარი და მეტად კეთილი გულის ყმაწვილი.

თოთხმეტი წლისამ ადამმა მიატოვა სამშობლო ქალაქის სკოლა და შევიდა გლაზგოვის[2]) უნივერსიტეტში[3]), სადაც დაჰყო სამი წელიწადი. მას შემდეგ ადამი გადავიდა ოქსფორდის[4]) უნივერსიტეტში და დაიწყო იქ საზნეობო და პოლიტიკური საგნების საფუძვლიანად შესწავლა.

ოქსფორდში ადამ სმიტმა გაატარა 7 წელიწადი. შემდეგ დაბრუნდა დედასთან შოტლანდიაში, დასახლდა ქალაქ ედინბურღში[5]) და დაიწყო ლექციების[6]) კითხვა იქაურს უნივერსიტეტში. ამ ლექციებმა დიდად ასახელეს ის და ამიტომ გაიწვიეს გლაზგოვის უნივერსიტეტში საზნეობო ფილოსოფიის პროფე-

---

[1]) შ ო ტ ლ ა ნ დ ი ა არის ინგლისის სამეფოს ჩრდილო ნაწილი.

[2]) გ ლ ა ზ გ ო ვ ი—ქალაქია შოტლანდიაში.

[3]) უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი—უმაღლესი სასწავლებელია.

[4]) ო ქ ს ფ ო რ დ ი—ქალაქია ინგლისში.

[5]) ე დ ი ნ ბ უ რ ღ ი—უმთავრესი ქალაქია შოტლანდიაში.

[6]) ლ ე ქ ც ი ა—ნიშნავს საკითხავს, სწავლას, გაკვეთილს.

სორად[1]). ამისი ლექციების მოსასმენად მოდიოდნენ მსმენელნი ინგლისის და შოტლანდიის ყოველი კუთხიდამ და ახალგაზდა პროფესორზე მალე ყველგან დაიწყეს ლაპარაკი. ადამ სმიტის ლექციების მიმზიდველობა იმაში მდგომარეობდა, რომ თავის აზრებს და სწავლას ის აფუძნებდა მრავალ ფაკტებზე[2]) და ისე ხელოვნურად ადარებდა და უყენებდა ერთი მეორეს ამ ფაკტებს, რომ სიტყვა მისი ზეგარდმო შთაგონებად წარმოგიდგებოდათ...

ადამ სმიტმა გაატარა გლაზგოვის უნივერსიტეტში 13 წელიწადი და შეაგროვა აქ ის მდიდარი მასალა, რომლის შემწეობითაც დასწერა მან თავისი შესანიშნავი თხუზულება „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრეზე“.

ადამ სმიტი განირჩეოდა სხვა მსწავლულებისაგან თავისი შესანიშნავი ჭკვა-გონებით და აზრის მოუსყიდველი პატიოსნებით. იმის ნაწერებში თქვენ ვერ იპოვნით ვერც ერთ ფაკტს, რომელიც იყოს მოყვანილი ისე შემთხვევით და ანაზღეულად; ის ლაპარაკობდა და სწერდა მხოლოდ ისეთ საგნებზე, რომლებიც ღრმად ჰქონდა შესწავლილი და გამოკვლეული, იმ ქალაქებზედ, რომლებიც საკუთარი თვალით ენახა და იმ ფაკტებზე, რომლებიც მრავალ-ჯერ ჰქონდა აწონ-დაწონილი.

ადამ სმიტის კარგი ნაცნობნი ამბობენ, რომ ის მეტად წყნარი ხასიათის კაცი იყოო, დიდად ჭკვიანი და მხიარული ლაპარაკის პატრონი, მაგრამ იმავე დროს მუდამ მორიდებული და გართული ათას გვარ ფიქრებში, განსაკუთრებით გარეშე პირებთან. გარდაიცვალა 1790 წელს, 67 წლისა.

---

[1]) პ რ ო ფ ე ს ო რ ი—მასწავლებელია უმაღლეს სასწავლებელში.

[2]) ფ ა კ ტ ი—ნიშნავს მომხდარ ამბავს, ნაქმარ საქმეს; ნაქმარი.

განვმარტოთ ახლა უმთავრესი ადგილები მისი შესანიშნაი თხზულებისა—„გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრეზე.“

III.

ა) ბუნებაში მეოთხე საგნები და ძალები ხდებიან გამოსადეგი ხოლო ადამიანის შრომით.

ბუნებაში მზად არ მოიპოვება არც პური, არც ხორცი, არც ტანსაცმელი და არც ფეხ-საცმელი. სანამ ხარი ველად არის, ის არც ხორცია და არც ტყავი; აგრეთვე, სანამ ფრინველი ტყეშია, თევზი წყალში და ხორბალ-სიმინდი მინდორში, —ფრინველი და თევზი ხორცი არ არის და ხორბალ-სიმინდი—პური და ხაჭაპური.

ბუნებაში არსებობენ მხოლოდ სხვა და სხვა საგნები და ძალები, სახელდობრ: ცხოველები, მცენარეები, ქვები, ქარი, წყალი, ორთქლი, მზის სითბო და სხვ. ეს ბუნებითი ძალები და საგნები იმ დრომდე არიან ჩვენთვის გამოუსადეგარნი, სანამ კაცი არ მისცემს მათ იმ სახეს, რომელიც სასურველი და გამოსადგია ადამიანისთვის. აი ამისი თვალ-საჩინო მაგალითები:

ადამიანი გარდააქცევს ხარს ხორცად, ტყავს—ფეხსაცმელად, ბამბის თესლს—ბამბად, ბამბას—დართულ ძაფებად, ხოლო ძაფებს—სხვა და სხვა ნაჭვსებად [1]); გარდააქცევს წყალს ორთქლად, ორთქლს დაამწყვდევს მანქანებში და ამ გვარად მანქანას საქმეს აკეთებინებს; ქარს შეუყენებს ნავის იალქ-

[1]) ნ ა ჭ ვ ს ი არის ნაქსოვი ანუ ქსოვილი.

ნებს [1]) და წისქვილის ფრთებს; ამ ნაირად, ქარი, რომელიც იმ დროამდე ადამიანისათვის სრულიად გამოუსადეგრად მინდერად დაჰქროდა და აგრეთვე წყალი და ორთქლი ხდებიან კაცისათვის დიდად სასარგებლო და გამოსადეგ საგნებად.

ყველა ამ შემთხვევაში კაცი არა ჰქმნის არც ერთ ბეწო რაიმე ახალ ნივთიერებას, არც ერთ ახალ ძალას. ის იღებს ხოლო იმას, რაც უკვე არსებობს ბუნებაში და აყენებს მათ სხვა გარემოებაში და დამოკიდებულებაში და ხოლო ამის მეორე ბუნების ძალა იძლევა იმას, რასაც საჭიროებს კაცი.

აი კიდეე მაგალითი. რას აკეთებს მიწის მუშაკი ანუ მხვნელ-მთესველი? ის გუთნით თუ სახნისით სძრავს და ანგრევს ზეადაგის [2]) ნაწილებს, აყენებს მათ ახალს დამოკიდებულებაში მზის სითბოსთან, სინესტესთან, ჰაერთან და ყველა ამით ჰბადავს ახალს ძალებს. ის იღებს ბოსლიდგან ნეხვს და აყრის მინდორს; გააქვს ბეღლიდამ თესლი და სთესავს მიწაში. ყველა ამით მხვნელ-მთესველს გამოჰყავს ნივთიერება მისი უწინდელი მდგომარეობიდამ, აყენებს ახალში და დამშვიდებული უცდის ნაყოფს. როდესაც ნაყოფი გამოჩნდება, ე. ი. პური გაიზრდება და დამწიფდება, მხვნელ-მთესველი მკის პურსა, მიაქვს შინ, ლეწავს, ფქვავს, აცხობს, ე. ი. გადააქვს თუ გადმოაქვს ნივთიერება, ასხვაფერებს მას. აი რაში მდგომარეობს ადამიანის მოქმედება-შრომა და როგორ ხდება ბუნებითი ძალა თუ საგანი მისთვის გამოსადეგი.

სწორედ ამნაირადვე იქცევა კაცი სხვა წარმოებაშიაც. მაგალითად, მინდორში დათესეს ბამბის თესლი. ბუნების ძალებმა აქცევეს თესლი ბუჩქებად და ბამბად; კაცი ჰკრეფავს ბამბას

---

[1]) ი ა ლ ქ ა ნ ი—ნავის ანუ ხომალდის აფრაა (парусъ).

[2]) ზ ე ა დ ა გ ი—არის დედამიწის ის ზემო ნაწილი, რომელსაც ამუშავებს ადამიანი, რომელშიაც ფესვს იდგამს მცენარე (почва).

კალათებში და ეზიდება შინ; აქაც მოსვენებას არ აძლევს ბამ-ბას: ჰპენტაეს, ართავს და აკეთებს ძაფებს, ხოლო ძაფით ჰქსოეს მშვენიერს ნაქვსებს...

ბ) ამიტომ არის საჭირო, რომ ადამიანმა ზედ-მიწევნით შეისწავლოს ბუნებაში მყოფი საგნების და ძალების თვისებანი.

რომ ბუნებითი საგნებიდგან გამოვიდეს ის, რაც კაცს ეჭირება, აუცილებლად საჭიროა, რომ თვით ნივთიერება და საგანი ვარგოდეს ამისთვის: წყლიდამ და ქვიშიდამ, ბევრიც რომ ვეცადოთ, ძაფს ვერ დავართავთ.

ამიტომ იყო საჭირო, რომ კაცს ზედ-მიწევნით გაეგო ბუნებაში მყოფი საგნების და ძალების თვისებანი და ესწავლა მათი გამოყენება. ბევრმა ათასმა წელმა განვლო სანამ ადამიანი ისწავლიდა თუნდა ისეთ უბრალო საქმეს, როგორიც არის, მაგალითად, პურის გამოცხობა. დღესაც არიან ველურები, რომელნიც აქამომდე ვერ მიმხვედარან, თუ როგორ მოამზადონ ფქვილი და ან როგორ გამოაცხონ პური...

IV.

ბუნებაში მყოფ საგნებს და ძალებს ედება თვისი მსოლოდ ადამიანის შრომით.

სანამ ბამბა მინდვრად არის, ხარი ველურად და წყალი მდინარეში მდინარებს, არც ერთ მათგანში კაცი ფასს არ გაი-

ღებს. მაგრამ წყალი, სახლში მოტანილი, სულ სხვაა და ფასიც აქვს. ეს იმიტომ მოხდა, რომ წყლის მზიდავმა მდინარიდგან წყალი თქვენს ეზოში ბოჩკით მოიტანა და ეზოდამ თქვენმა მოსამსახურემ კოკით ანუ ლიტრით სახლში შემოიტანა.

ამნაირად, წყალი რომ თქვენამდის მოსულიყო, საჭირო იყო შრომა რამდენიმე კაცისა, სახელდობრ: საჭირო იყო შრომა ურმის ოსტატისა, რომ წყლის მოსატანად ურემი გაეკეთებინა; საჭირო იყო შრომა მეჭურჭლისა, რომ წყლის მოსატანი ჭურჭელი გაეკეთებინა; საჭირო იყო შრომა წყლის მზიდავისა, რომ წყალი სახლამდის მოეტანა; საჭირო იყო შრომა სარაჯისა [1]), რომ ცხენებისათვის მოსართავები და ღვედები [2]) გაეკეთებინა; საჭირო იყო შრომა ხარაზისა და თერძისა, რომ ფეხსაცმელი და ტანსაცმელი შეეკერათ წყლის მომტანისათვის, მეჭურჭლესათვის და სხვ. მთელი ეს შრომა განაწილდა მოტანილ წყალზედ და ამიტომ დაედო მას ფასი, რომელიც არა ჰქონდა მას, სანამ ის თავისთვის მდინარეში მოჩხრიალებდა.

დღეს მზის სითბო-სინათლეში ფულს არაევინ ვაძლევთ; მაგრამ, თუ გამოჩნდა ვინმე ისეთი მოხერხებული კაცი, რომელიც მოაგროვებს მზის სითბო-სინათლეს, რომ ხარჯოს ისინი თავის ნებაზე, როცა რამდენი მოესურვება, მაშინ მათაც ფასი დაედება, იმის და კვალად, თუ რამდენი შრომა იქნება გაწეული მათ მოგროვებაზე.

გარდა მოხსენებულისა, ნივთის ფასის მეტ-ნაკლებობა დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად უფრო საჭიროა რომელიმე ნივთი ცხოვრებაში. მაგალითად: მაუდის ტანსაცმელი უფრო ძვირათ ღირს, ვიდრე ბამბისა, რადგანაც მაუდის გაკეთებას უფრო მეტი შრომა უნდა, ვიდრე ბამბეულისას. მაგრამ, თუ

---

[1]) სარაჯი არის უნაგირებისა და საზოგადოთ ცხენის მოსართავის მკეთებელი ოსტატი.

[2]) ღვედი არის დაწნული თასმა.

თქვენ ცხელი ქვეყნის მცხოვრები ხართ, თქმა არ უნდა, რომ თქვენთვის ბამბის ტანისამოსი უფრო ძვირი იქნება, ვიდრე მაუდისა. გამოდის, რომ ნივთის ფასის მეტ-ნაკლებობა დამოკიდებულია იმაზედ, თუ ა) რამდენი შრომა დასჭირდა მის გაკეთებას და ბ) რამდენად საჭიროა ეს ნივთი ცხოვრებაში.

ცხადია აგრეთვე, რომ რამდენადაც მეტი გამოსადეგი საგნები აქვს რომელიმე ხალხს, იმდენად უფრო მდიდარი და შეძლებული იქნება ეს ხალხი. ხოლო, რომ ხალხს ბევრი გამოსადეგი ნივთები და საგნები ჰქონდეს, საჭიროა, რომ ყველა კაცი გამოუკლებლად აღგეს გამოსადეგ საქმეს, რომ ყველა რასმე გამოსადეგს მუშაობდეს. რა წამსაც რომელიმე საზოგადოებაში თუ ხალხში გაჩნდებიან ისეთი პირები, რომლებიც არაფერს გამოსადეგ საქმეს არ აკეთებენ, ანუ მუშების რომელიმე საქმე გამოუსადეგარი გამოდგა, სიმდიდრე იმ ქვეყნისა მაშინვე ძირს იწვევს; ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ქვეყანაში არის ბევრი ისეთი პირი, რომლებსაც საკმაოდ არა აქვთ მოხსენებული ფასდებული გამოსადეგი საგნები, და რამდენათაც მეტი აღმოჩნდება ამ გვარი უსაქმო და, მაშასადამე, უქონელი ხალხი, იმდენად მთელი ის ქვეყანაც უფრო ღარიბი იქნება. თუ რომელიმე ქვეყანაში ყველას არა აქვს ფეხ-საცმელი და კარგი ნოყიერი საჭმელი, ან საზამთროდ—შალის თუ მაუდის ტანსაცმელი, და არც თბილი სადგური უდგათ,—თქმა არ უნდა, რომ ასეთი მხარე უფრო ღარიბი იქნება იმაზედ, რომელსაც ყველა ეს საკმარისად აქვს...

V.

რა არის შრომის განაწილება და რით არის ის სასარგებლო? რა არის ანგარიშიანი შრომა და საზიარობა?

რამოდენიმე ათასი წლები დასჭირდა კაცობრიობას, რომ მას უკეთესად მოეწყო თავისი ცხოვრება და შეძლებისა გვარად გაეადვილებინა იგი.

თქვენ, მაგალითად, მოგესურვათ ჩაი; მიდიხართ მახლობელს დუქანში და ყიდულობთ. მაგრამ ესე ადვილად როდი გაჩნდა ეს ჩაი დუქანში: მთელი უშველებელი მთა-მინდვრებია ჩინეთში ჩაის ბუჩქებით მოშენებული ადამიანების ხელებით; ახლა, რამდენი ათასი და ათი ათასი კაცი მუშაობს მის (ჩაის) გადატან-გადმოტანაზედ ხმელეთით თუ ზღვით ჩინეთიდამ ჩვენამდე! ახლა, რამდენი ათასი ვაჭარია, რომელიც მხოლოდ იმ საქმეს ადგია, რომ ჩაის ათასი ფუთობით ყიდულობს და წვრილ-წვრილად ჰყიდის მეწვრიმალე ვაჭრებზე ლამაზად გაკეთებულ ქაღალდში თუ ყუთებში! და, აი, ხოლო ამდენი ხალხის წვალების და შრომის შემდეგ ჩნდება ჩაი თქვენ მეზობლად აშენებულს დუქანში!.. ყველა ამისთვის-კი დიდად საჭიროა დიდ-ძალი ხალხი და გონიერად განაწილება საქმისა და შრომისა მათ შორის, რომ ყოველი კაცი ხოლო თავის საქმეს ადგეს და ბეჯითად ასრულებდეს მას. მხოლოდ საქმის ასე წესიერად განაწილებით და თადარიგით შეიძლება გავაუმჯობესოთ და გავაიაფოთ რომელიმე ნაწარმოები. საქმის ასე დანაწილებით და თადარიგით წარმოებას ეწოდება შრომის განაწილება.

თუ რამდენად აადვილებს და აიაფებს შრომის განაწილება

ცხოვრებისათვის საჭირო საგნებს, დავინახავთ შემდეგი მაგალითებიდამ.

ქინძისთავი ხომ უბრალო ნივთია, მაგრამ იმის გასაკეთებლად საჭიროა თვრამეტი სხვა და სხვა საქმის შესრულება, სახელდობრ: ერთი ოსტატი ხოლო საქინძისთავე მართულს აკეთებს, მეორე ამ მართულს ასწორებს, მესამე სჭრის, მეოთხე წვერს უკეთებს, მეხუთე თავს ადგამს და სხვ... ქინძისთავის ერთ პატარა ქარხანაში, გვიამბობს ადამ სმიტი, მუშაობდა მხოლოდ ათი კაცი და თუმცა ისინი ღარიბები იყვნენ და იარაღებიც უვარგისი ჰქონდათ, დღეში მაინც 12 გირვანქა ქინძისთავს ამზადებდნენო. ერთ გირვანქა ქინძისთავში ითვლება 4000-ზე მეტი ქინძისთავი, მაშასადამე, 12 გირვანქაში იქნება 48000 ქინძისთავი. ხოლო, რადგანაც თითო მუშაზე მოდის მეათედი საქმისა, გამოდის, რომ დღეში თითო მათგანი აკეთებდა 4800 ქინძისთავს; ცალ-ცალკე-კი რომ ემუშავნათ, თითოეული მათგანი ვერც ოც ქინძისთავს გააკეთებდა დღეში!..

რომ გაკეთდეს უბის საათი, საჭიროა 43 სხვა და სხვა საქმის შესრულება. შვეიცარიაში[1]) ითვლება 40,000 კაცი საათის მკეთებელი. ისინი ამზადებენ წელიწადში ერთ მილიონ საათს; თითო მესაათეზე მოდის 40 საათი. რომ თითოეული ამათგანი საათის ყველა ნაწილებს თითონვე აკეთებდეს, მაშინ წელიწადში ათი საათის გაკეთებასაც ვერ მოასწრობდა თითო კაცი, და, რაღა თქმა უნდა, საათებიც გაცილებით უფრო ძვირი იქნებოდა და უხეიოებიც. დიახ, ასე კარგი და სასარგებლოა შრომის განაწილება!

როდესაც ქარხნებში მუშები ქინძისთავის ანუ საათის ნაწილებს ამზადებენ, ისინი კარგად ხედავენ, რომ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე მუშაობს, მაგრამ ბოლო და შედეგი-კი

---

[1]) შ ვ ე ი ც ა რ ი ა არის ერთი პატარა, მაგრამ მეტად მდიდარი და განათლებული ქვეყანა ევროპაში, იტალიის ჩრდილოდ.

მათი შრომისა ერთია, ე. ი. ბოლოს გამოდის ერთი საქმე— ქინძისთავი ანუ საათი... მაუდის ქარხნებში მუშები ამზადებენ მაუდს ანუ სხვა და სხვა ნაქსებს. აქაც მუშები კარგად ხედავენ, რომ შრომა განაწილებულია, მაგრამ საქმე-კი ერთი გამოდის... ტყეში რამოდენიმე კაცი შამოჰხვევია ერთ ხესა და სჭრიან მას; თუმცა თითოეული მათგანი ცალკე სცემს ცულს, მაინც ყველას კარგად ესმის, თუ რამდენად ემსახურებიან ერთმანერთს საერთო საქმეში, რომ ხე მალე წააქციონ... ამ გვარად ძალ-ღონის შეერთებას, როდესაც თვითეული მუშა კარგად ხედავს, რაზედაც არის მიმართული ეს შაერთებული ძალა,—ეწოდება ანგარიშიანი შრომა (простое сочетаніе труда).

ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი ჩაიზე. წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს გაქრნენ ყველა ის პირები, რომლებიც ეზიდებიან ჩაის ჩინეთიდამ ჩვენამდე. ცხადია, რომ თქვენ უჩაიოთ დარჩებით, რადგანაც მომტანი აღარავინ იქნება... ახლა წარმოიდგინეთ, რომ გაქრნენ ჩაის ყველა მოვაჭრენი. ცხადია აგრეთვე, რომ თქვენ კიდევ უჩაიოთ დარჩებით და თქვენთვის ჩინეთი ვითომც არც-კი ყოფილა ქვეყანაზე.

გამოდის, რომ როგორც ზემოთ მოხსენებულ ანგარიშიან შრომაში, თვითეული მუშა აუცილებელი საჭიროებაა საერთო საქმისათვის, სწორედ აგრეთვე საჭირონი არიან სხვა და სხვა მშრომელნი რთულ საქმეში... ამოაცალეთ საათს რომელიმე ნაწილი ანუ ბორბალი და საათი მაშინვე გაჩერდება, დადგება, ე. ი. შედეგი იგივე იქნება, რომ საათი სრულიად არა გქონოდათ. ასევეა ადამიანებში.

აქედამ ცხადად დაინახავეთ, თუ როგორ მჭიდროდ არიან ადამიანები ერთმანეთთან შეკავშირებულნი. რომ მიიღოთ თქვენი მაუდის ტანსაცმელი, საჭიროა მატყლი; მატყლისათვის საჭიროა ცხვრები; ცხვრების მოსავლელად საჭირონი არიან

მწყემსები და გამოსაკვებად—საძოვრები და სახნავები; შემდეგ საჭიროა ქარხნები მაუდის გასაკეთებლად და სხვ. ერთი სიტყვით, საჭიროა მთელი წყობა სხვა და სხვა კერძო წარმოებათა. ამ გვარ რთულ ურთი-ერთიან წარმოებას და დამოკიდებულებას ეწოდება სოზიარობა (солидарность).

VI.

სიმდიდრის შესაძენად და ცხოვრების გასაუმჯობესებლად საჭიროა: ა) ბუნების მრავალ-გვაროვნება და სიმდიდრე;

დედამიწის ზურგზე ზოგი ქვეყანა თბილია და ზოგი—ცივი. ზოგ ქვეყანაში იზრდება ძვირფასი ხეები და სხვა მცენარეები, სახელდობრ—პურის ხე, ინდის-ხურმა, ბრინჯი, ბამბა, შაქრის ლერწამი და სხვ. ხოლო, არის ისეთი მწვრი ადგილებიც, სადაც ხავსის მეტი არაფერი იზრდება, როგორც, მაგალითად, რუსეთის ჩრდილოეთშია.

რამდენადაც უკეთესია რომელიმე ქვეყნის ჰავა და ნიადაგიც ნაყოფიერი, იმდენად უფრო ეადვილება იმ ქვეყნის მცხოვრებლებს ცხოვრება. მწვრი და ცივი ქვეყნის მცხოვრებთ იქნება სურდესთ კიდეც, რომ შაქრის ლერწამი ანუ ბამბა მოიყვანონ, მაგრამ ვერ მოიყვანენ, რადგანაც ეს მცენარეები სიცივისაგამო მათ ქვეყანაში არ მოვა. ცხადია, რომ ცივი და მწვრი ქვეყნის მცხოვრებლებს თავის დღეში არ ექმნებათ იმდენ-ნაირი ნაწარმოები და ჭირნახული, რამდენიც თბილი და ცხელი ქვეყნის მცხოვრებლებს, რომელთაც უხვად მოსდით პუ-

რიც, ქერიც, სიმინდიც, ბამბაც, ყურძენიც და ათასნაირი ბოსტნეული და ხილიც...

ადამიანის ცხოვრებაში ჰავას აქვს დიდი მნიშვნელობა არა მარტო იმით, რომ თბილ-ჰავიანი ადგილი იძლევა უფრო მეტს და მრავალ-გვარ ნაწარმოებს, არამედ იმითაც, რომ ყოველ შემთხვევაში თბილი ადგილის მცხოვრებს სჭირდება ბევრად უფრო ნაკლები შრომა და ხარჯი, ვიდრე ცივი ქვეყნის მცხოვრებს. მაგალითად, ცივ ქვეყნებში შენობები მეტ ნაწილად უფრო მალე ფუჭდება და ამიტომ უფრო მკვიდრად გაკეთებას და ხშირად განახლებასაც თხოულობენ, ე. ი. თხოულობენ მეტს ხარჯს და შრომას...

მდიდარი ბუნება, როგორც ვსთქვით, ჰბადავს შრომის და ნაწარმოების სხვა-და-სხვაობას; ესევე შედეგი მოსდევს მადნეულ სიმდიდრეს რომელიმე ქვეყანაში. წარმოიდგინეთ, რომ ქუთაისის ანუ თბილისის გვერდზე აღმოჩნდა აუარებელი მადანი რკინისა, სპილენძისა, ქვა-ნახშირისა, ანუ ოქროსი. თქმა არ უნდა, რომ მაშინ ამ ქალაქების და ახლო-მახლო ადგილების მცხოვრენებნი მემადნეობას და ყოველ-გვარ ხელოსნობასაც მიჰყოფდნენ ხელს.

ბუნებით სიმდიდრეს ეკუთვნის წყალიც—დიდი მდინარეები, ტბები და ზღვები, თუ საკმაოდ მოიპოვებიან იგინი რომელიმე ქვეყანაში და თუ ადვილადაც შეიძლება მათი მოხმარება. რკინის გზა ხომ კარგი მოგონებაა, მაგრამ ვერასოდეს ვერ შეედრება ამ მხრით წყალს. წყლის პირა მდებარე ქალაქები მუდამ უფრო შეძლებულები არიან, ვიდრე წყალს დაშორებულები. გაგეგონებათ, რომ ინგლისი გარშემორტყმულია უშველებელი ზღვებით; ეს გარემოებაა უმთავრესად მისი სიმდიდრის და ღონის მიზეზი...

როდესაც ინგლისში ცხოვრობდნენ ბრიტები, წინაპარნი ეხლანდელი ინგლისელებისა, ინგლისს ჰქონდა იგივე ჰავა და

ზედაგი, რაც დღეს, მოიპოვებოდა იქ იგივე მიწალები (минералы), რაც დღეს, მაგრამ ბრიტები, მაინც, ისე კარგად და მდიდრულად ვერ ცხოვრობდნენ, როგორც ეხლანდელი ინგლისელები ცხოვრობენ... ცხოვრების გასაუმჯობესებლად კიდევ საჭიროა, რომ

ბ) ხალხს ჰქონდეს სურვილი გაუმჯობესებისა;

37577

აფრიკაში თბილი ჰიერი და მომცემი ადგილებია, ასე რომ იზრდება თუთის ხე, ყურძენი, ბამბა და სხვა მრავალი სასარგებლო მცენარე; მიწაში მოიპოვება დაულეველი მადნები რკინისა და ქვა-ნახშირისა, მაგრამ აფრიკელები მაინც შიშველ-ტიტველნი დადიან და, არა-თუ არ იციან აბრეშუმის და ბამბის ნაქესების მომზადება, არც რკინისა და ფოლადის სულ უბრალო ნივთების გაკეთება შეუძლიანთ. რა უშლის აფრიკის მცხოვრებლებს იცხოვრონ ისე, როგორც ინგლისელები და ანუ ფრანცუზები ცხოვრობენ? თქვენ იტყვით, რომ აფრიკელები არ შრომობენო, ზარმაცები არიანო. არა, აფრიკელებიც შრომობენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმათი შრომა სულ სხვა რახედმე არის მიმართული: აფრიკელები სრულიად კმაყოფილნი არიან თავიანთი მიწური სახლებით; კმაყოფილნი არიან იმ საბრალო სასმელ-საჭმლითა, რომლითაც ისინი დღეს იკვებებიან. მთელ თავის სიცოცხლეს ისინი ატარებენ ხოლო ერთმანერთის ჩხუბში და ბრძოლაში, ან ყრიან თავიანთ ქოხებში გულზე ხელდაკრეფილები და ცხოვრების გაუკეთესებაზე სრულებით არასფერს ზრუნავენ. თქმა არ უნდა, რომ ისინი ვერ გააუმჯობესებენ თავიანთ ცხოვრებას და დარჩებიან მარად იმ ველურ ყოფაში, როგორშიაც ახლა არიან. დიახ, თუ ხალხი მოკლებულია

[illegible]

ცხოვრების გაუმჯობესობის სურვილს, ის მთელი საუკუნოებით დარჩება ერთ და იმავე ცხოვრების (ეკონომიურ) მდგომარეობაში! მაშ ეგრე: ხალხის გასამდიდრებლად კიდევ საჭირო ყოფილა, რომ ამას ჭონდეს სურვილი ცხოვრების გაუმჯობესობისა, რადგანაც ხოლო ცხოვრების გაუმჯობესობის სურვილი ჭმნის შრომის უმთავრეს ამაღორძინებელს თვისებას—თავ-გამოდებას (ენერგიას). ვსთქვათ ამაზედაც რამოდენიმე სიტყვა.

გ) შეუწყვეტელი და მოუკლებელი თავ-გამოდება (ენერგია) და მიმართვა ამ ძალისა გამოსადეგ საქმეზედ;

თავ-გამოდება (ენერგია) აქვს ყოველ კაცს, მაგრამ ეკონომიურად თავ-გამოდება არის მხოლოდ ის ძალა, რომელიც შეაგულიანებს კაცს გამოსადეგ შრომაზე. ჩინგის-ყაენის დროის თათრებიც დიდი თავ-გამოდების პატრონები იყენენ, მაგრამ ეს მათი თავ-გამოდება ილეოდა ხოლო ომებზე და სხვა ხალხების დამონავებაზე.

რომ თავის-გამოდებამ ხალხი სიმდიდრემდის მიიყვანოს, საჭიროა, რომ ის მარად შეუწყვეტელი და მოუკლებელი თავ-გამოდებით მოქმედებდეს. ველურები მუშაობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც სიმშილისგან კუჭი ეწვით და მაშინაც მხოლოდ იმდენად ირჯებიან, რამდენიც საკმაოა იმათი წუთიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ე. ი. მუშაობენ მხოლოდ შიმშილის დასაკმაყოფილებლად და სრულიად არა ზრუნავენ შემენაზე და გამოზოგვაზე. ასეთი კანტი-კუნტი შრომა - კი და თავ-გამოდება ვერასოდეს ვერ შესძენს ხალხს თუ კაცს სიმდიდრეს; შრომა და თავის-გამოდება უნდა იყოს მარად მოუკლებული

და რომელ ხალხსაც და კაცს სჭირს ეს თვისება, ის ხალხი და კაცი არ შეიძლება რომ არ გამდიდრდეს...

დ) ცოდნა, ხერხი და ნიჭი

წარმოიდგინეთ ქვეყანა, სადაც მოიპოვება ყოველ-ნაირი მადანი და დიდრონი ზღვები და მდინარეები, სადაც ჰაერიც და ზეადაგიც შესაფერი და ნაყოფის მომცემია და თვითონ ხალხიც თავ-გამოდების პატრონია და სურვილიც აქვს გამდიდრებისა. საკმაოა მხოლოდ ეს სურვილი და თავ-გამოდება, რომ ხალხი გამდიდრდეს? წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გაქვთ რკინის მადანი, შუშა და დიდი სურვილიც, რომ ბასრი დანები გააკეთოთ. საკმაოა ყველა ეს, რომ თქვენ დანები გააკეთოთ? რასაკვირველია, არა, რადგანაც გარდა მასალისა და სურვილისა, საჭიროა აგრეთვე და უმთავრესად ცოდნა, როგორ შეისრულოთ და დაიკმაყოფილოთ ეს წადილი.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენ და თქვენს ამხანაგს გაქვთ ყოველი, რაც საჭიროა, რომ დანები გააკეთოთ, მაგრამ თქენ ხართ მოხერხებული, მარდი, ნიჭიერი, ოსტატი მუშა და თქვენი ამხანაგი-კი—უხერხული, დუნე. თქმა არ უნდა, რომ თქვენ ორში, თქვენ უფრო მეტს დანებს გააკეთებთ და კარგებსაც, ვიდრე თქვენი ამხანაგი. გამოდის, რომ წარმოების წარმატებისათვის, გარდა ბუნებითი სიმდიდრისა, ცხოვრების გაუმჯობესობის სურვილისა და თავ-გამოდებისა—საჭირო ყოფილა კიდევ ცოდნა, ხერხი და ნიჭი. ორ ხალხში, ის უფრო გამდიდრდება, რომელსაც ერთ და იგივე პირობებში მყოფსა, უფრო მეტი ცოდნა და ნიჭი ექნება.

დ ე) გაუმჯობესებული იარაღები და მანქანები.

სანამ ხალხი ველურად ცხოვრობს, იმისი მოთხოვნილებანი დიდი არ არის, ნიჭი საკმაოდ არა აქვს გახსნილი და სამუშაო იარაღებიც უხეიროები აქვს. უწინდელი ველური იჭერდა ირემს ფეხ-და-ფეხ, ე. ი. გამოუდგებოდა ნადირს და ცდილობდა დასწეოდა და დაეჭირა იგი. როცა ეს საშუალება მოუხერხებელი და ძნელი აღმოჩნდა, ველურმა მოიგონა შვილდ-ისარი. როცა ამავე ველურმა დაიწყო მიწის შემუშავება, მან აგრეთვე დაინახა, რომ აუცილებლად საჭიროა გაიადვილოს შრომა და მოიგონა ბარი, თოხი, გუთანი, ფარცხი და სხვ. ყველა ეს იარაღები არიან შრომის გამაადვილებელნი, ე. ი. ცოტაოდენი შრომის და ძალ-ღონის დახარჯვით გვაძლევენ დიდ სარგებლობას. საზოგადოთ უნდა ესთქვათ, რომ უიარაღოთ ყოველად შეუძლებელია რომელიმე სამრეწველო საქმის წარმოება. მაგალითად, შეუძლებელია ხეირიანი სახლის აშენება უცულოდ და უხერხოდ; შეუძლებელია გვქონდეს პური, თუ მიწა რომელიმე იარაღით არ მოვხანით, თესლი არ დავთესეთ და ყანა არ მოვმკევით უბრალო დანით მაინც. ურემი, მარხილი და ნავები რომ არა გვქონდეს, მისვლა-მოსვლაც გაძნელებული იქნებოდა და არც ვაჭრობა იქნებოდა. დიახ, ძნელია და თითქმის შეუძლებელიც წარმატება, თუ ხალხი მოკლებულია წესიერ იარაღებს შრომისათვის და წარმოებისათვის, რადგანაც უვარგისი იარაღით თითონ საქმეც უვარგისი და უხეირო გამოდის: შეუძლებელია კარგად გამოსჭრა ტანისამოსი ჩლუნგი მაკრატლით, შეუძლებელია დასჭრა შეშა ანუ ურემი ააგო ჩლუნგი ცულით და სხვ.

რამდენადაც კაცი განვითარებული, აზრიანი და გონიერია,

იმდენად უფრო მეტად ცდილობს ის გააუმჯობესოს თავისი წარმოების იარაღები, რადგანაც სულ ერთი როდია—ორი საათი იმუშავო რომელიმე საქმეზე, თუ ერთი! გარდა ამისა, იარაღის გაუმჯობესობას მოსდევს თან არა მხოლოდ შრომის შემსუბუქება, არამედ თვითონ ნაწარმოების გაუკეთესებაც...

შრომის შემსუბუქებას და საქმის უკეთესად წარმოებას ჩვენს დროში მეტად კარგად ახერხებენ სხვა და სხვა მანქანების გამოგონებით და შემოღებით. მანქანები გვიადვილებენ არა მარტო შრომას, არამედ გვიკეთებენ ისეთ საქმეებსაც, რომლის გასაკეთებლად ადამიანს არ შესწევს საკუთარი ძალ-ღონე და მოხერხება, გვიკეთებენ ისეთ საქმესაც, რომელიც მეტად წმინდაა, წვრილია და მათი გამოყენა მეტად გასაჭირი იქნებოდა ადამიანის ხელებისათვის. მაგალითად: შეიძლება გამოჩნდნენ ისეთი დახელოვნებული მქსოველნი წინდებისა თუ ხელ-თათმანებისა, რომელნიც მოქსოვენ ხელით ისეთსავე წინდებს და ხელთათმანებს, როგორსაც ქსოვენ ინგლისის მანქანები, მაგრამ, ერთი, რომ ასეთი დახელოვნებული მქსოველნი ცოტანი მოიპოვებიან და მეორე, მანქანები ქსოვენ ისეთის სისწრაფით (ასჯერ და ათასჯერ უფრო სწრაფად), რომ ადამიანს არასოდეს არ შეუძლიან ეს. ეს კიდევ არაფერი: წინდების მოქსოვა კიდევ ისეთი წმინდა სამუშაო არ არის. აიღეთ საათის ნაწილების გაკეთება: საათს აქვს ბევრი ისეთი წვრილი, წმინდა და სათუთი ნაწილები, რომ ხელის თითებით იმათი გაკეთება ყოველად შეუძლებელია.

მანქანები კიდევ იმით არიან სასარგებლონი, რომ ათანასწორებენ ადამიანების ნიჭებს: რისთვისაც უწინ საჭირო იყო განსაკუთრებული ნიჭი და ხერხი, ღღეს იგივე ადვილად შეუძლიან შეასრულოს ჩვეულებრივი ნიჭის პატრონმა. მაგალითად: საქსოვ მანქანასთან მდგომარე კაცის შრომა და ცოდნა იმაში მდგომარეობს, რომ გააწყოს მანქანა და სულ უბრალო საშუა-

ლებებით—ცეცხლით თუ ორთქლით,—მანქანა მოქმედებაში მოიყვანოს. გაწყდება ძაფი სადმე თუ არა, მანქანა მაშინვე გაჩერდება და მიჩენილი კაცის ვალი აქ ხოლო იმაში მდგომარეობს, რომ ნახოს გაწყვეტილი ძაფი და გასკენას; ეს-კი ათი წლის ბალღსაც შეუძლიან!..

VII.

ა) სასარგებლო და საზოგადო შრომა.

მართალია შრომა ჰქმნის სიმდიდრეს, მაგრამ სულ ერთი როდია, რაზედ მუშაობს კაცი. შეიძლება მთელი დღეები კენჭების თ�-ში ანუ ერთი ჭურჭლიდამ მეორეში წყალი ასხათ, ესეც შრომა იქნება. მაგრამ ზეეითაც ვსთქვით, რომ მხოლოდ ის შრომაა სიმდიდრის მომტანი, რომელიც აკეთებს სასარგებლო და გამოსადეგ საგნებს. მოვიყვანოთ მაგალითები.

წარმოიდგინეთ, რომ რამოდენიმე კაცი მთელ ღამეს ბანქოს (ქალალდს) თამაშობს. თქმა არ უნდა, რომ ესენიც შრომობენ და ძრიელ ერთგულათაც, მაგრამ იმათი შრომა, ეკონომიურად ანუ ნივთიერად რომ გავსინჯოთ, საზოგადოებისათვის სასარგებლო-კი არა, პირ-იქით, საზიანო გამოვა. რა სასარგებლო საგნები გაკეთდა იმით, რომ იმათ მთელ ღამეს ბანქო ითამაშეს? სრულიად არაფერი. ვსთქვათ, რომ ყველა მოთამაშეებს ერთად ჰქონდათ 20 მანეთი. ზოგმა მათგანმა წაგო, ზოგმა-კი მოიგო; წამგებლებმა მისცეს ფული მომგებლებს, მაგრამ ოცი მანეთი, რომელიც იმათ ჰქონდათ, დარჩა იმავე ოც მანეთად და ერთი კაპეიკიც არ მოემატა ნაქონ სიმდიდრეს, თუმცა რამდენიმე ვაჟ-კაცმა მთელი ღამე გაათენეს ამაზედ...

მომგებნი, რასაკვირველია, უფრო გამდიდრდნენ, წამგებნი უფრო გაღარიბდნენ, მაგრამ შეემატა რაიმე სიმდიდრე ამ შრო-

მით და მოგებით საზოგადოებას, თუ არა? ამით საზოგადოებას არ მოჰმატებია არც ერთი ნივთიერი საგანი, არც პური, არც ტან-საცმელი, არც ფეხ-საცმელი; არ მოჰმატებია არც ცოდნა, არც ხერხი, არც სიმარჯვე, ერთი სიტყვით, იგივე გამოვიდა, რაც მაშინ გამოვიდოდა, რომ მოთამაშეებს მთელი ღამე ტკბილად სძინებოდათ, (აქ ჯან-მრთელობა მაინც შეჰრჩებოდათ), ან გულზე ხელ-დაკრეფილებს მთელი ეს დრო უსაქმოდ გაეტარებინათ... ადამ სმიტის-მიერ შექმნილი ეკონომიური სწავლა სასარგებლო შრომად სთვლის ხოლო იმ შრომას, რომელიც აწარმოებს სასარგებლო საგნებს. თუ შრომა სასარგებლო საგნებს არ აკეთებს, ამისთანა შრომას საზიანოს უწოდებს.

მართალია მასწავლებლებიც, მოსწავლენიც და მწიგნობარნიც არა ჰკერვენ წაღებს და ტანსაცმელს, არც პურს აცხობენ და არც რაიმე ნივთიერ სასარგებლო საგნებს აკეთებენ, მაგრამ ამათი შრომა მაინც სასარგებლოა, რადგანაც ასწავლის კაცს იმას, რაც კაცმა არ იცის. ამათი შრომა მაშინ იქნებოდა უსარგებლო და საზიანო, როცა ისეთ ცოდნას შეგეძენდა, რომელიც სასარგებლო საქმის გაკეთებას ვერ გვასწავლიდა; ხოლო, თუ მათი სწავლა ისეთ ცოდნას გვაძლევს, რომელიც გაგვხდის ჩვენ ქვეყნისთვის თუ თავისთვის სასარგებლო კაცად, მაშ იმათი შრომაც სასარგებლო ყოფილა...

ბ) სასარგებლო და საზიანო მოხმარება

გარდა სასარგებლო და საზიანო შრომისა, არის სასარგებლო და საზიანო მოხმარებაც (потребленіе).

მოთამაშენი, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, შრომობდნენ საზოგადოების საზიანოდ, საზარალოდ. ისინი შრომობდნენ საზარალოდ არა მარტო იმით, რომ საზოგადო-

ებას არ შეჰსძინეს არც ერთი სასარგებლო საგანი, არამედ იმი-თაც, რაც მათ იმ თამაშობის დროს დახარჯეს და მოიხმარეს: ისინი მოვიდნენ სათამაშოდ ეტლებით და ეტლებითვე დაბრუნ-დნენ სახლში; თამაშობდნენ განათებულს ოთახებში; მიირთვეს ჩაი, ივახშმეს და ღვინოც დალიეს; იმ ოთახების მოართულო-ბაც გააჭუჭყიანეს ანუ გაცვითეს და ყველა ამით ზარალი მო-უტანეს საზოგადოებას. საზარალო იყო საზოგადოებისათვის არა ხოლო მათი შრომა, რადგანაც ამ შრომამ არ შექმნა არც ერთი სასარგებლო საგანი, არამედ იმითაც, რომ სრულიად უსარგებლოდ ჩაიარა თვით მეეტლეთა შრომამაც, რომლებმაც მოიყვანეს და წაიყვანეს მოთამაშენი; უსარგებლოდ ჩაიარა იმ ადამიანების შრომამაც, რომლებიც მოსცდნენ მათთვის ჩაის, ვახშ-მის, შაქრის და წყლის დამზადებაზედ... ერთი სიტყვით, უქმად და უსარგებლოდ ჩაიარა ყველა იმ პირების შრომამ, რომლებ-მაც იმათთვის იშრომეს, რადგანაც არც ერთი სასარგებლო ნივ-თი არ გააკეთა მათმა ამოდენა შრომამ.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. თქვენ გსურდათ ფრინველი მოგეკლათ და თოფი ესროლეთ, მაგრამ დააცდინეთ. გაქვთ თქვენ ფრინველი, თუ არა? და თუ არა გაქვთ, დაიკარ-გა თქვენი შრომა, თუ არა? რასაკვირველია, რომ დაიკარგა. და არა თუ თქვენი შრომა დაიკარგა, არამედ, თუ თქვენ ყო-ველთვის ასე აცდენთ, დაიკარგა შრომა თოფჩისაც, რომელმაც თქვენ თოფი და ტყვია-წამალი გაგიკეთათ. და არა მარტო თო-ფისა და ტყვია-წამლის გამკეთებლის შრომა დაიკარგა, არამედ ყველა იმ პირებისაც, რომელთაც თქვენთვის იშრომეს: მხენელ-მთესველისა და მებაღისა, რომელთაც თქვენ საზრდო მოგაწო-დეს, მეჩექმისა და მკერვლისა, რომელებმაც წაღები და ტანსა-ცმელი შეგიკერეს და, ერთი სიტყვით, ყველასი, ვინც-კი თქვე-ნი რჩენისათვის მუშაობდა.

ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ ყველა ამათ თოფი-კი არ

გაეკეთებინათ თქვენთვის, არამედ რამდენიმე წყვილი წაღები შეეკერათ იმათთვის, ვისაც მხოლოდ ქალამნები აცვიათ, რადგანაც ამით სასარგებლო საგნები გაკეთდებოდა. ახლა-კი ხოლო თქვენი მოცდენა გამოვიდა და ყველა მათი შრომა თქვენზე, —ტყუილ-უბრალოდ ჰაერში გაფანტეთ...

ამნაირად, როგორც შესაძლებელია, რომ შრომა იყოს სასარგებლო და საზიანო, ისე მოხმარებაც და ხარჯიც შეიძლება იყოს სასარგებლო და საზიანო.

VIII.

ფ უ ლ ე ბ ი.

საკუთარი შრომით თითოეულს ადამიანს შეუძლიან გააკეთოს მხოლოდ ორიოდე გვარი საქმე; მას არასოდეს არ შეუძლიან მარტომ გააკეთოს ყველა ის, რაც საჭიროა მისი ცხოვრებისათვის, რჩენისათვის. წარმოიდგინეთ, რომ ერთ კაცს ბევრი სხვა და სხვა საგნები აქვს გაკეთებული, ე. ი. იმაზე მეტი აქვს, რაც თვითონ ეჭირება, ხოლო მეორეს ეს ნივთები სრულიად არა აქვს და აქვს სხვა ნივთები, რომლებიც პირველს არ მოეპოვება. ამიტომ, პირველი სიხარულით გაუცვლიდა მეორეს რაც თითონ მეტი აქვს, ხოლო მეორე აგრეთვე სიხარულით დაუთმობდა მას თავის მეტს ნივთებს და გამოართმევდა იმას, რაც თითონ ეჭირვება. ასეც იყო უწინ: ადამიანები ერთმანერთს უცვლიდნენ ყველა საგნებს და ნივთებს.

მაგრამ წარმოადგინეთ, რომ მეორეს არა აქვს-რა იმისთანა, რომელიც ეჭირება პირველს; მაშინ გაცვლა, რასაკვირველია, აღარ მოხდება. წარმოვიდგინოთ ისიც, რომ თქვენ ორი ცული გაქვთ და თქვენ მეზობელს-კი არც ერთი. თქვენ სიხარულით დაუთმობდით მას ერთ ცულს და ისიც აგრეთვე სიხა-

რულით მიიღებდა ცულს, მაგრამ იმას რომ არა აქვს-რა, რომ მაგიერი მოგცესთ, მეზობელი რჩება უცულოდ. მოვიყვანოთ კიდეე მაგალითი.

ყასაბს აქვს მეტი ხორცი, ხოლო თქვენ გაქვთ პურიც და ხორციც. ყასაბი სიხარულით გაგიცვლიდათ მეტს ხორც პურზე, მაგრამ, რადგანაც თქვენ ხორცი უკვე გაქვთ, ამიტომ გაცვლა არ მოხერხდება...

ამ უხერხულობის თავიდამ ასაცილებლად დიდიხანია შემოიღეს, რომ გარდა საკუთარი შრომის ნაწარმოემისა, იქონიონ ერთი ისეთი საქონელიც, რომელიც ყველასათვის ერთგვარად იყოს საჭირო და რომელზედაც ამიტომ მუდამ შეიძლებოდეს საქონლის გაცვლა. ამ გვარ, ყველასათვის საჭირო საქონლად სცნეს ფული, რომელიც მართლაც მეტად აადვილებს აღებ-მიცემობას ხალხში და მასთან არის სუბუქი, ადვილ-დასახურდავებელი და ადვილ-შესანახი ყველასათვის.

მას შემდეგ, რაც შემოიღეს ფული, ყასაბს ხარი ან ცხვარი აღარ მოჰყავს მეპურესთან პურზედ გასაცვლელად, არამედ ჰყიდის ბაზარში ფულზე და აღებული ფულით ყიდულობს რაც თითონ უჭირს. მაგრამ ცხადია, რომ თითონ ფულები სიმდიდრე არ არის, არამედ ხოლო საქონლის და სხვა და სხვა საგნების გადასაცვლელი იარაღია. თუ ხალხს ფული ცოტა აქვს და გამოსადეგი საქონელი და ნივთები-კი ბევრი, ამით ხალხის სიმდიდრე არ დაეცემა, არ დაიკლებს; აგრეთვე, თუ ხალხს მეტი ფული აქვს, ვიდრე საქონელი და ნივთები, ამით ხალხს სიმდიდრე არ მოემატება. პირველს შემთხვევაში სყიდვა-გასყიდვა სწრაფი იქნება და ის ცოტა ფული, რომელიც ხალხს აქვს, ჩქარა იმუშავებს და იტრიალებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ხალხში იმუშავებს და იტრიალებს მხოლოდ ის ფული, რომელიც სყიდვა-გასყიდვისათვის იქნება საჭირო და დანარჩენი მეტი ფული-კი ხელ-უხლებელი დარჩებათ ზანდუკებში.

აი ყველა ეს აგვიხსნა ადამ სმიტმა. პატივი და დიდება მისთანა მოაზრეთ!..

ტყუილად-კი არა სწერს ცნობილი მეცნიერი ბოკლი, რომ „ადამ სმიტმა თვისი ერთი წიგნით უფრო მეტად შეუწყო ხელი კაცობრიობის ყოველ-მხრივ წარმატებას, ვიდრე ყველა სახელმწიფო კაცების და კანონმდებლების შაერთებულმა მოხერხებამაო. მისი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრეზე“ არის უშესანიშნაესი წიგნი, რომელიც-კი ოდესმე დაწერილა ქვეყანაზედაო!“...

33
703
443/20

მომავალ 1896 წელს

ყოველ-კვირეული ყურნალი

მეურნე

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა იმავ პროგრამით, წესითა და ფასათ, როგორც დღემდის გამოდიოდა. ყურნალს მომავალს 1896 წელს მუდმივს თანამშრომლობას გაუწევენ: თ-დი ი. ზ. ძე ანდრონიკაშვილი, ა. ეუჩინო, გ. გველესიანი, ი. გუნცაძე, ა. დარეჯანაშვილი, თ-დი ნ. დგებუაძე, თ-დი ა. თუმანიშვილი, ნ. კურნალი, თ-დი ე. ნაკაშიძე, ვ. სულხანიშვილი, ა. ფირალოვი, ა. შარაშიძე, რ. ჩიხლაძე, დ. მაჩხანელი და სხვ.— ექიმები: გ. ბადრიძე, თავ. ყარამან ჩიქვანი და სხვ.

ყურნალს დახმარებას აღუთქვა ჩვენმა ცნობილმა პროფესორმა ვასილ ჰეტრიაშვილმა

რედაქცია ეცდება მომავალ წელში უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს უაღრესი კულტურის მცენარეთა მოშენებას ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე დღემდის ჰქონდა მიქცეული ამ საგანს. სხვათა შორის მეურნეობის ამ დარგიდან ყურნალს უმზადებს მომავალ წლისათვის ბ-ნი ა. ეუჩინო ინგლისურ თხზულების თარგმანს:

ჩაი

მისი მოშენება და დამუშავება.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში: რედაქციაში, გეგუთის ქუჩის გადასახვევში, ბუოსნიას სახლი № 10.

ყურნალი ღირს: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან.

რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭყონია.